

# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსან კეთილმან სული თვისი  
დაჭსდვის ცხოვართათვის. იარა. 10—11.

პპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარული  
ცთა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მბიმენი  
და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 22

1883—1905

30 ნოემბერი

1883—1906 წ.

საუბარი მკითხველთან გვ. 23 წლის დამდება.

ღვთის შეწენით და წვენი საზოგადოების თა-  
ვრძნობით, ამა წლის ოქტომბრის თვიდან, გადავ-  
ქით მე-23 წელში, რაც ჩვენი ორგანო „მწყემსი“  
სსებობს და 22 წელში—რაც რუსული „Пастыри“-ი  
გამოიცემა. უნდა გამოსცალოს ყოველმა კაცმა თავის  
თავზე ყველა ის აუტანელი ტანჯვა-წვალება და  
შრომა, აგრეთვე ის სიცოცხლის მომშობველი და  
გულის დამალონებელი დაბრკოლებანი, რომელიც  
ორღანოს გამომცემს ხვდება ჩვენში, რომ ლირსეუ-  
ლიდ დაფასოს კაცის შრომა სალიტერატურო  
ასპარეზზე. დიალ, ზოგიერთებს, რომელიც შორი-  
ლან უყურებენ ორგანოს გამოცემას, საადვილო  
საქმედ მიაჩნია მისი მუშაობა, მაგრამ დაა-  
ლოვებით, რომ შეიტყობენ და გაიცნობენ იმ ეკ-  
ლიან გზას, რომელიც ყველა მუშაკს ხვდება ამ

სარბიელზე, შემდეგ სულ სხვას ფიქრობენ. ვერავინ  
დააჯერებს ხარბთა და მოშურნე პირთა, რომ  
გაზეთი მათ გამომცემელთ ნივთიერად დიდ შემო-  
სავალს არ აძლევდეს, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ  
რუსეთის სახელმწიფო ში არც ერთს უურნალ-გაზეთს  
უსუბსიღიოთ არ შეუძლია არსებობა მარტოოდენ  
უურნალ-გაზეთზე ხელის მოსაწერ ფულების შემოსავ-  
ლით, რომ განცხადებების ბეჭდვისაგან არ შემოდი-  
ოდესთ ფულები. ი ამ განცხადებათა ფულები ყველა  
უურნალ-გაზეთს უდგამს სულს და, ხარჯს გარდა,  
მათ გამომცემთაც ნივთიერად შეძლებას აძლევს.  
რუსეთში მრავალი. რეტროგრადული გამოცემანი  
არსებობენ, მაგრამ მათ საიდუმლოდ ეძლევათ სუბ-  
სიღიდია. „სვეტ“-ი და მისთანა გაზეთები საიდუმლოდ  
იღებენ სუბსიღიას. რუსულ უურნალ-გაზეთებიღიდან  
უნდა გამოვრიცხოთ ქართული უურნალ-გაზეთები,  
რომელთა შემოსავალი განცხადების ბეჭდისაგან  
ძლიერ მცირე არის.

განსაკუთრებითი ყურადღება უნდა მიაქციოს კაცმა ჩვენი ხალხის გონიერით განვითარებას და კითხვის ხალხის დაჩრდინებას. ქართველი საზოგადოება მილიონ ნახევარზე ნაკლები არ არის. ომიანობის და ხალხის მოძრაობის წყალობით ჩვენი საერო წოდების უურნალ-გაზეთების მკითხველები თითქმის ათი ათასამდე ავიდა და ბევრი რომ ჩავაგდოთ 15 ათას არ აღმატებიან. განა ერთ მილიონ ხალხში 15,000 მეტი მკითხველი არ უნდა ყავდეს თითო გაზეთს? ამბობენ ჩვენი საზოგადოება უეგნებულიათ. ეს არის უეგნებული საზოგადოება? ერთი კაცობაში კიდევ არის, ცოტა მაინც უურნალ-გაზეთების მკითხველები, მაგრამ ჩვენს სამღვდელოებაში ყველა წოდებაზე ნაკლებათ იპოვით მკითხველებს. მღვდელი ყველა წოდებაზე მაღლა უნდა იდგეს გონიერის განვითარებით, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს იგი ბევრ სამწყსოს გონიერით უკან ჩამორჩა. წარმოიდგინეთ მუშებმა, მოსამსახურებმა შეიგნეს თავიანთი საკუთარო განვითარების დარსების საჭიროება. ჩვენმა სამღვდელოებამ აღძრა კითხვა საკუთარის ორგანოს დაარსებათ, მაგრამ დღემდის კიდევ ვერა მოუხერხებიათ-რა.

ძალით მიაჩეხეს ხელში ჩვენს სამღვდელოებას, კითომც თფიციალური ორგანო, რომელშიაც ჩვენი სამღვდელოების ლანდგვა-გინების მეტი არა არის-რა, მაგრამ მან მოთმინებით აიტანა ყოველივე ლანდგვა-გინება!.. ყველას გასაკვირველად ზოგიერთი ბლალობინები ძალით აწერინებდნენ მღვდლებს ამ ორგანოს რუსულ ენაზე დაბეჭდილს, როცა ბევრ მღვდელს სრულებით რუსული კითხვა არ შეეძლო. ერთად-ერთ ქართულ უურნალს, რომელიც სამღვდელოებას სურდა გამოეწერა, ზოგიერთი ბლალობინები უშლილნენ მის კითხვას. რისთვის? მისთვის, რომ არავის წაეკითხა თუ ამ ბლალობინზე რაიმე არა მათი სასიამოვნო ეწერა!.. მაგრამ დანარჩენი სამღვდელოება, დღიდგან ორგანოს დაარსებისა ჩვენ ყოველთვის გვიწევდა და გვიწევს სრულს თანაგრძნობას. რედაქცია სხვათა ხელის-მომწერთა და თანამერძნობელთა შორის გულითად მაღლობას უძღვნის მამა დ. სირბილაძის, მ. სხირტლაძის, მათე გორგლეზიანის, სერაფიონ ფანჯავიძის, დეკ. გიორგობიანის, დეკ. ლ. ჭიპაშვილს, იასონ აბესაძის, დეკ. აბ. ტეკემალაძის, დეკ. ერ. ვეფხაძის, დეკანზ სიმონ ბეგივის, ტრ. ჯოხტაბერიძის და იოსებ წე-

რეთლის ეკლესიების წინამძღვართა, რომელნიც თავიანთ ბლაზინებთან ერთად ნამდვილ ძმურთანაგრძნობას გვიწევდენ გაზეთის დაარსების დროიდან.

თუ სამღვდელოებისაგან აღრჩეულმა კომიტეტმა კიდევ ვერ შესძლო და ვერ მოახერხო გარდაქმნა ჩვენი ორგანოსი საზოგადო სამღვდელოების ორგანოდ, ვთხოვ ყველას დაგვეხმარონ და მეტი თანაგრძნობა აღმოგვიჩინონ, რომ გაგვიაღვილდეს ზიდვა ამ მძიმე და მომღალავი ტვირთისა. მორჩილი და გათხოვთ ყველას რაც შეიძლება გაავრცელონ კითხვა ამ ერთად-ერთი საერო და სასულიერო ორგანოს ჩვენს ხალხში და მით ხელი შეუწყონ კეთილი თესლის თესვას ქრისტეს ყანაში.

თუ ოდესმე იყო საჭირო საერო და სასულიერო ორგანოთა არსებობა დღეს ეს საჭიროება ერთი ათად მეტია. თუმცა „მწყემსი“ ჩვენი საკუთარი ორგანოა, მაგრამ იგი ყოველთვის ემსახურებოდა საზოგადო ინტერესებს და საქმეს. ჩვენი საკუთარი იყო მხოლოდ ხარჯი და მომღალავი შრომა...

ჯერეთ კიდევ სემინარიაში მყოფობის დრო ათმა ჩინებულმა ექიმებმა გარდაგვიწყვიტეს ამ წუთისოფლის გამოოთხოვება ავადმყოფობის-გამო. ღმერთი შევევეღრეთ მოენიჭებია ჩემთვის სიცოცხლე სამოცდლად და აღთქმას ვსდებდი ეს დრო მომებმარს ღვთისა და კაცის სამსახუროდ. ჩემი სურვილი აღსრულდა. ეს იყო უმთავრესად მიზეზი, რომ ოცდათ ამხანაგებში კურსის დასრულების შემდეგ სასულიერო წოდება აღვირჩიე, როცა უმეტეს ნაწილს იმ დროის ჩემთან ნასწავლ სემინარიელებს მღვდლად მსახურება საჩოთიროდაც მიაჩნდათ. როცა ექიმების ჩევით შინ წამოვედი არავის არ ეგონა ჩემი უკადაგრუნება. დავბრუნდი თუ არა უკანვე, მორჩილი ჩემს ექიმებს გამოვეცხადე და შადლობა შეესწირე იმ შრომისთვის. რაც მათ ჩემზე გასწიოს. საეჭიმო სამართველოს უფროსი კავკასიაში პეტრე ი. სობოლიშიკივი და მთავარი ექიმი-დოსტაქარი მინკევიჩი გაკვირდენ და მითხრეს: შენ მოგარჩინა ბუნებაშ და არა ჩვენმა წამლობამ. ამ ხნის განმავლობაში შეძლებისა და გვარად ვემსახურებოდი ღმერთსა და ხალხს. როგორი იყო ჩვენი სამსახური ამას თეთვი საზოგადოება დააფასებს, მაგრამ დღეს კი არ, არა მედ შემდეგ. თუ გინდათ, რომ სურათი კარგად დაინახოთ შორის უნდა დაუდგეთ. ახლოს სურათი

კარგად არა სხანს. ესეა კაცის სამსახურის დაფასებაც. შემდეგი თაობა არ დატოვებს კაცის სამსახურს დაუ-  
ფასებლად. მოქსვეელი ხშირად ვერ ესწრება თავის  
დათხისლის ნაყოფს.

ჩვენ დიდი ხნის ცხოვრების გამოცდილებაშ  
დაგვარწმუნა, რომ კაცი თუ რწმენით, გულით  
და სიყვარულობით მოკიდებს საქმეს ხელს, რა საძ-  
ნელო საქმეც უნდა იყოს იგი, უთუოდ შესარულებს.  
ჩვენი ორგანო იარსებებს ვიდრემდის ცოცხალი  
ვიქნებით, მაგრამ დიდათ სამწუხარო იქნება იმ დროს,  
როცა პრესსას სანატრელი დრო უდგება, იმ დროს  
როცა სამღვდელოებისათვის ასე საჭიროა თავისი  
საკუთარი ორგანო, რომელიც დიდ სამსახურს გაუ-  
წევს, როგორც მწყემსთა ისე სამწყესოთა, ერთად-  
ერთი ქართული ორგანო გამოვლილი ამდენი უბე-  
ღური დროისა და ტანჯვა-წვალებისა მოისპოს ჩემთან  
ერთად. ნუ თუ სირცხვილი არ იქნება ჩვენი სამ-  
ღვდელოებისათვის საკუთარ ორგანოს უქონლობა  
იმ დროს როცა მოსამსახურებიც შეკავშირდენ და  
თავის საკუთარი ორგანოს დაარსებას მაცადინობენ.  
ნუ თუ მოთლის საქართველოში, სადაც ათას ხუთასი  
მღვდლები არიან, თუ ყველა არა, ასი კაცი ვერ  
შეიკრიბება და ვერ ითავებს ორგანოს დაარსებას  
და მის წინ წაძლოლას? ნუ თუ სამღვდელოება  
კავშირს ვერ შეკრავს და; თუ ყველა ჩინებულები  
არა მცირედ რჩეულნი მაინც, ერთ სულად და ერთ-  
გულად ვერ იმოქმედებენ სასარგებლოდ მწყემსთა  
და სამწყესოთათვის ორგანოთი, პრესით?..

ყველანი აღტაცებულნი არიან ახალი დროის  
დაფომით. ბევრს ჰქონია, რომ ამ ახალ დროში  
საჭირო ჩვენთვის აღარა იყოს-რა. მაგრამ ესეთი  
იქრი და აზრი თავის მოტყუება იქნება. ჩვენ, სამ-  
ღვდელოებას დიდი დაფიქრება გვმართება!..

ღმერომან ინებოს, რომ დადგეს ახალი დრო  
ერთობისა, ძმობისა და თავისუფლებისა. მაგრამ ნუ  
დაივიწყებთ იმასაც, რომ სახელმწიფოები, როგორც  
კაცი, იბადებიან, იზრდებიან, მაგრდებიან, ბოლოს  
ბერდებიან და კვდებიან. ქვეყანაზე ჩვენ ბევრი შე-  
სანიშნავი სახელმწიფონი გვახსოვს, რომელნიც  
დიდათ სახელგანთქმულნი იყვნენ სივრცითა, მა-  
მაცობითა, სიმდიდრითა და მეცნიერობითა. ვის არ  
გვახსოვს შესანიშნავი თავის დროზე ბაბილონის  
სამეფო, სპარსეთისა, ასურეთისა, ეგვიპტისა და  
რომისა. რა დარჩა ამ შესანიშნავ სახელმწიფოთაგან?

ერთად შეოლოდ მოგონება და რამდენიმე ნაშეგბი  
და კედლის ნანგრევები...

დედა-მიწაზედ ერთად-ერთი სახელმწიფო არის  
ჩინეთისა, რომელიც ყველა სახელმწიფოებზე შეტი  
ხანი არსებობს შეურყევლად. რა იყო მიზეზი ამ  
დიდებულ სახელმწიფოთა მოსპობისა? გაბედვით  
შეგვიძლია ვსთვეათ, რომ მიზეზი ამ დიდებულ სა-  
ხელმწიფოთა მოსპობისა იყო ზეობით განხრწნი-  
ლება მთელი ხალხისა, ზეობით დაცემა მათი,  
ერთი-ერთმანეთის დაუჯერებლობა, ფარისევლობა,  
გარყენილობა, მატყუარობა, უმართლობა, ცრუო-  
ბა და სხვა მრავალი უკეთურების გავრცელება ხალ-  
ხში. ურწმუნობება, ულვთოება და ზნეობრივი გახრ-  
წნილება, —აი სახელმწიფოების ქვეყნის პირიდან  
აღგავების მიზეზები. თუ ყველა ესები ჩვენში არ  
არსებობენ იმედი უნდა ვიქონით, რომ ახალი ხანა  
იწყება, ჩვენი სახელმწიფოის ისტორია არ თავდება.  
თუ ჩვენს სახელმწიფოში ზემოთ ჩამოთვლილი უზ-  
ნეობანი არსებობენ და ხალხის მოძრაობის მიზეზებიც  
ისინი არიან, ძლიერ დასაფიქრებელი დრო დგება  
ყველასათვის. ყველა მოსპობილ სახელმწიფოებში  
ურწმუნობება უმაღლეს წერტილამდე იღვიღა, დაი-  
ვიწყეს შემწეველი და შის ქმნილებას აღიარებდენ  
ღმერთებად! არის დღეს ხალხში ურწმუნობების ნიშ-  
ნები და უზნეობისა? მიგება თქვენთვის მომინდვია,  
მკითხველო.

განილვიძეთ მამანო, ძმანო, დანო და სული-  
ერნო შვილნო! მოახლოვდა დრო ზოგთათვის თავ-  
ზარ დამცემი, ზოგთათვის საბედნიერო და სანატრე-  
ლი. მოახლოვდა დრო, რომლის არა შესწორებას  
ერთნი ღმერთს ევედრებიან, მეორენი-კი დიდათ  
ხარობენ რომ შეესწორენ. დგება დრო, რომელიც  
ერთს მიაჩნია მეორე მოსვლის ნიშნად და მეორეს  
დროთ ნეტარებისა თავისუფლებისა და ერთობისად.  
ნუ თუ ჩვენ მწყემსთა არ უნდა განვიღვიძოთ ამის-  
თანა დროს, ნუ თუ როცა ჩვენ სამწყესოს ესმი სუპხო  
მოძღვართაგან ათასიარი ქადაგება, ჩვენ გავჩუმდეთ,  
არ დავმწყესოთ იგინი ქრისტეს მცნებისამეგრ?..

რედ. დ. დამბაშიძე.

P. S. მონჩილათ სოხოვს რედაქტია უველას გი-  
საც ჯერეთ გადევ არ შემოუტანია „მწევეში“-ს სელმ-  
საწერი ფულები ამა წლისა, დაუჩქარონ გამოგზავნას  
აგრეთვე ვსოხუმ იმ ბლადოჩინებსაც, რომელთაც  
წარსული წლების ფულები კიდევ არ წარმოუდგენიათ  
გამოგზავნონ.

## პ რ ი ს ტ მ — კ ა ნ ი ვ ა დ ე ბ ა ე ლ ი .

(ფრანგულიდან\*)

შეორე სჯულში სწერია: „შეიყვარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა, ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა“ (6. 5.) ხელ. ლევიტელთა წიგნში — „შეიყვარე მოყვასი შენი ვითარცა თავი თვისი (19, 18) სარწმუნოებრივ საკითხებში ღიღათ დახელოვნებულგანვითარებულმა იუდელებმა, შეაერთეს ეს ორი ადგილი მოსეს წიგნთა. ერთხელ ქრისტემ ჰეითხა სჯულმეცნიერს: «რა უფრო საჭიროა სჯულში? სჯულმეცნიერმა პასუხათ მოიყვანა ზემოთ ამოწერილი ორი ტექსტი (ლუკ. 10, 25—28). მაცხოვარმა მოიწონა მეცნიერის-მიერ სჯულის უმთავრესი პაზრის ამგვარი განმარტება, მხოლოდ დაუმატა მას ორი აზრი. სახელდობრ მან სთქვა, რომ მეორე მცნება თანაბარი და მსგავსია პირველისა და — რომ ამ ორ მცნებაზე დამყარებულია მთელი სჯული. ესევ აზრი რამოდენიმეჯერ განიმეორეს მოციქულებმა. განვმარტოთ მაცხოვრის ეს ორი აზრი უფრო ვრცლად დალაგებით. შეორე მცნება ჰგავს პირველსა და არის მხოლოდ მისი განვითარება — გაგრძელება. «შეიყვარე ღმერთი შენი», რომელი ღმერთი? მამა ყოველთა კაცთა. რას შეიცავს ღვთისადმი სიყვარული? მისი ნების ასრულებას. რა ნებავს მას? მის-მიერ ქმნილ ადამიანთა სიკეთე და ბედნიერება. აქედან კი ერთად-ერთი დასკვნა გამოდის: სახელდობ, ვისაც ღმერთი უყვარს, ის უნდა იღვწოდეს საზოგადო სიკეთისათვის; სიყვარული მოყვსისადმი არის პირდაპირი გაგრძელება ზეციურ მამისადმი სიყვარულისა, ამიტომ იესოც ხშირათ აცხადებს, რომ ყოველივე მოქმედება ღვთის პატივისცემისა და სამსახურისა, თუ მას თან არ ახლავს და არ ამშვენებს მოყვსისადმი სიყვარული, — არის უმნიშვნელო და უშინაარსო სამსახური.

თანახმათ მაცხოვრის შეორე აზრისა, რომლითაც მან განმარტა სჯულმეცნიერის შეხედულება, ამ ორკეც მეცნიერებაში — სიყვარულისა ღვთისა და მოყვსისადმი მოთავსებულია ყველა მოვალეობანი. თუმცა მორიალისტ მეცნიერნი მოვალეობათ ბევრ სხვადასხვა კლასებათ (ჯგუფებათ) ჰყოფენ. მაგრამ

უფრო სწორი და მართალი იქნება, რომ ესენი (მოვალეობანი) გავყოთ სამ ჯგუფათ. მოვალეობათ პირველ ჯგუფში ლირსება, მეორეში — სამართლიანიბა და მესამეში კეთილგანწყობილება, მაგრამ აյჩამოთვლილ მოვალეობათა სამივე ჯგუფი შეადგენს უმთავრეს შინაარს ქრისტიანული სიყვარულისას, რადგან შემოქმედის ნებაც მასში მდგომარეობს, რომ მის-მიერ ქმნილი ადამიანები შეადგენდნენ ისეთ ბედნიერ — სულიერ არსებათა საზოგადოებას, რომლის თვითვული წევრი იღვწოდეს სხვათა სიკეთისათვის. უზენაესი კანონის ამგვარი გადმოთარებებისაგან კი გამომდინარეობენ: 1) მოვალეობანი ღირსებისა; ღმერთს ნებავს, რომ ძენი მისი ანხორციელებდნენ სულიერი ბუნების მოთხოვნილებათ და მით შეადგენდნენ სულიერ არსებათა საზოგადოებას და არა ცხოველთა გროვას. 2) მოვალეობანი სამართლიანობისა; თვითეული წევრი, საზოგადოებისა ვალდებულია ისეთივე პატივით მოებრუს მოყვსის პირველებას — როგორც თვისის საკუთარებს. 3) მოვალეობანი კეთილგანწყობილებისა; არ კმარა მარტო ის, რომ იცნო და შეიგნო მოყვსის უფლებანი, საჭიროა გატაცებით იზრუნო მისი სიკეთისათვის თანახმათ შემოქმედის ნებისა. ღირსება, სამართლიანიბა და კეთილ განწყობილება — ი სამი სხივი რომელიც გამოსჭივის ქრისტიანული სიყვარულის ნათლისაგან და ცხოველ-მყოფელის ძალით ეფინება კაცობრიობის ცხოვრებას. ეხლა შევაჩეროთ ჩვენი ყურადღება მასზედ, თუ რა უნდა გაკეთებულიყო ზემოთ მოხსენებულის სამის საგნის მხრით სახარების მოვლინების ღროს და რა გაკეთდა მისი (სახარების) გავლენით და მოქმედებით. საგანი ძღიურითული და ფართოა; ვიკაროთ ამეამათ ძეველ ღროს ცხოვრებილებან ამოღებული სამი საზოგადოებრივი მოვლენით განმარტება აღნიშნული საგნისა. რა საფეხურზედ იდგა და რა მდგომარეობაში იყო ძეველ ღროში ადამიანის ღირსება და რა იმოქმედა ამ მხრით სახარებამ — ამის დასასურათებლით ავილოთ «გლადიატორთა ბრძოლა», რადგან თავისის მხედარი ადამიანთა ტანჯვა-წვალების, სისხლის ღვრისა და სიკვდილის უბრალო გასართობათ გადაქცევა არის უუსაშინელესი, გესლით და შხამით გაუქნილი დაცინვა ადამიანის ღირსებისა. მეორე მაგალითათ ავილოთ მონობა, რომელიც არის ძირითადი უარის ყოფა სამართლიანობისა. რაიცა შეეხება

\*) იხ. „მწევმსი“ № 21, 1905 წ.

კეთილგანწყობილების მოვალეობას, ამისათვის საკმაოა აღვნიშნოთ ის გულგრილობა, რომელსაც იჩენდა ქრისტეს დროინდელი წარმართთა საზოგადოება გაჭირვებულთა შესახებ. განვიხილოთ ეს სამი მაგალითი; დავიწყოთ უკანასკნელიდან.

ადამიანი ბუნებრივათ კეთილი და გულმტკივნეულია, და არასოდეს არ ჰქონება მასში სრულიად ეს ბუნებითი სიკეთე და თანაგრძნობა. უანუკ რუსო ჭეშმარიტ ფაქტს აღნიშნავს, თუმცა კი ჩეულებრივის გაშვიადებით და გარდამტკებით, როცა ამბობს: „ხშირათ მგზავრთა მძარცველი ავაზაკიც კი ჰფარავს (მოსახს) დატაკთა სიტიტვლეს და მხეცივით გაშმაგებული მკვლელი დახმარების ხელს უწვდის გულწასულს და შეწუხებულს ადამიანს“. დიალ, ყოველთვის და ყოველგან მოიპოვობოდნენ კეთილი გულის ადამიანები, კეთდებოდა სამოწყალო საქმე, არსებობდნენ საქველმოქმედო დაწესებულებანი, მაგრამ ქრისტიანული ქველმოქმედების უპირატესობა ძველის დროის ქველმოქმედებასთან შედარებით აშკარა და უცილობელია. მრავალ დამატებიცებულ საბუთთა და მოწმობათაგან ჩეენ მოვიყვანთ ამ აზრის დასამტკიცებლათ მხოლოდ ერთს, რომელიც ამოღებულია იულიანე განლგომლის ობზულებათაგან, სადაც სხვათა შორის აი რა სიტყვებს ვპოულობთ: «ვფიქრობ, რომ ჩეენი ქურუმების სრულმა უყურადღებობამ და ურწმუნებამ საწყლებსა და ღარიბებზედ გამოიწვია უსჯულო გალილეველები საქველმოქმედო ასპარეზზედ. უსჯულოთა სწავლის (აგრე უწვდებს ეგ მეფე ქრისტიანებს) გავრცელებას და ფეხის გადგმას ხელი შეუწყო მათმა (ქრისტიანთა) უცხოთა მფარველობამ და შეწვნამ, იცვალებულთა დასაფლავებაზე ზრუნვამ და ცხოვების გარევანმა სიწმინდემ. ჩემის აზრით უცილელოათ საჭიროა ვასრულებდეთ თვითეულ სათნოებათაგანს. სირცხვილი იქნებოდა, რომ, მაშინ, როცა უსჯულო (გალილეველები არჩენენ არა მარტო თავით საწყლებსა და ღარიბებს, არამედ—ჩეენსასაც ი, იმ დროს ჩეენ გულხელდაკრეფილი და დოინჯ ქემოყრილი ვისმენდევთ გაჭირებულთა კვნესა-გოვებას... დაასწავლე ჰელინებს რომ ხელი შეუწყოს აქველმოქმედო საქმეებს“.

რაღა იქნება ამაზე უფრო დამარწმუნებელი, ახარების დაუძინებელი მტერიც კი აშკარათ აღვირებს და მოწმობს ქრისტიანული ქველმოქმედების

უპირატესობა—უმაღლესობას. ყოველ გვარ სარწმუნოებრივ—ზნეობრივ სწავლა გეგმაში მოიპოვებიან მცნება-ბრძანებანი შესახებ ქველმოქმედების და, საზოგადო, კეთილ-განწყობილებისა, მაგრამ ქრისტიანობას ამ მხრით განსაკუთრებული ძალა აქვს, რომლის წყარო არის სახარება და მაცხოვერის პიროვნება. რას მოითხოვს ჩეენგან მაცხოვარი ნაცვლად იმ განწირულებისა, რომელიც სიკვდილით აღიბეჭდა და აღდგომით დაგვირგვინდა? ამისი პასუხი უნდა ვეძიოთ სახარების იმ გვერდზე, სადაც მაცხოვარი ასურათხატებს მომავალ განსჯა-განკითხვას. უფალი იტყვის: „თუ თქვენ მიაწოდეთ საზრდო მშიერთა, შემოსეთ შიშველი ინახულეთ ავადმყოფობასა და საპყრობილეს შინა მყოფნი—ყოველივე ეს ჩემთვის გიმოქმედიათ“ (მათ. 25). აი წყარო ქრისტიანული სწავლის განსაკუთრებული მოქმედებისა მოწყალებისა განსავითარებლად; უზომოდა აურაცხელი იყო ზემოთ მოვანილი სიტყვების მნიშვნელობა და გავლენა. ჩეენს წიგნთსაცავებში სხვადასხვა წიგნთა ურიცხვი ტომი და გვერდი მოიპოვება, მაგრამ არც ერთი მათვანი არ არის საწყალთა, ტვირთ-მძიმეთა და მაშვრალთა ცრემლებით მორწყლული იგრე—როგორც ის გვერდი სახარებისა, რომელიც ჩეენ ზევით მოვისენეთ. ერთის სიტყვით ქრისტიანობის გავლენა-მოქმედება გულმტკიცენეულობისა თანაგრძნობის განვითარება-აღორძინებაზედ იმდენათ აშკარა და უცილობელია, რომ საჭიროა არა ერთხელათ ამ საგნზე დიდხანს შეჩერება. ქრისტიანობას პირიქით უსაყვედურებლენ ზოგიერთნი გულქვა მეცნიერნი გარდამეტებულ გულკეთილობას და თანგრძნობას და ამ საყველუს ასაბუთებლენ იმ აზრით, რომ მოდგმის გასაუმჯობესებლად საჭიროა სუსტთა და მახინჯთა მიტოვება სრულიად სიკვდილის ანაბარად და ამ საშუალებით მოსპობა მათი.

ქველმოქმედების საქმის განხილვა აწმყოსა და წარსულში ნათლად გვაჩვენებს რომ თუმცა აღამიანთა იმ ღიღებულ და შარავანდელით მოსილ რაზმს, რომელსაც სულიერ მოთხოვნილებათ გარდაქცევია მოწყალების ქმნა, არა ერთი კეთილი გულის ადამიანი ამშვენებს, რომელსაც სახარების გავლენის ქვეშ არ გაუვლია, მაგრამ ამ რაზმის უმთავრეს ძალას, მისს სულსა და გულს ომის მებაირატრებს შეადგენენ ისევ ქრისტიანული სარწმუნოების აღმ-

არქელნი. ქრისტიანობის გავლენა ქველმოქმედების კაფართოვება-განვითარებაზე იმდენად დიდია რომ უდეს ის (ქველმოქმედება) ჩვეულების ხასიათს ღესულობს და რამოდენიმედ კანონებში გადადის. ასე რომ ამ უკანასკნელის გარემოების მხრით ქველმოქმედებას გაფართოვება და ზრდა საშიშიც არის, რადგან ქველმოქმედების საქმეები ყოველთვის უნდა კუთვნოდენ ადამიანის თავისუფალ მოქმედებათა დარგს და არა ძალადატანებითს. კანონი სიყვარულისა არის დასაბამი ყოველივე სიქველისა და სიკერისა; მაგრამ ქველმოქმედების დაკანონება წარმოდგენს სახელმწიფოსათვის იმ უხერხსულობას, რომ იძულებს მას თავის მოქმედებაში გარდახდეს და ადავიდეს სამართლიანობის საზღვრებს. სამართლიანობის გამო გადავიდეთ ჩვენი გამოკვლევის მეორე აგანზე სახელდობრ მონაბაზე.

(შემდეგი იქნება)

### ცარიელი სული.

მღვდლის პეტროვის თხზულებიდან.

საზღვარ გარეთ უკანასკნელ წლებში შეასრულეს თელი დარგი საშიშარი, უაზრო და მხეცური მოქმედება: ხან ერთი, ხან მეორე ბოროტ-მოქმედი, უმეტეს ნაწილათ ახალ-თაობისა, ისროდა ლურსმენით გატენილ სახეთქ ყუმბარას სასამართლოებში, იადაც მშვიდათ და წყნარათ ისჯებოდა საქმეები, ან უკან მისდევდა ხანჯლებით მართველებს და ინისტრუებს, ხან ერთბაშათ როგორც მოკლეს ავსტრიის დედოფალი ან და მსწრაფლად უსპობდნენ იკოცხლეს როგორც ეს დამართეს იტალიის კონკლეს.

— რა დანაშაულობა მიუძღვია შენს წინაშე შენგან მოკლულებს?

არაფერი.

— იცნობდით პირადად მათ?

— არა.

გაშ რისთვის მოუსცეთ სიცოცხლე? რა მიზანი ჰქონდათ მხედველობაში?

აღმოჩნდა, რომ მკვლელს, კერძოთ არავითარი ანგარიში არ ჰქონდა მოკლულთან, მხოლოდ იგი იყო გაბოროტებული ყოველთადმი და ყოველ გვარი

წეს-წყობილებისადმი. მას სურდა მოესპო ერთბაზად ყოველივე წეს-წყობილება და მისი გული როგორც გატენილი ყუმბარა მზად იყო ყოველივე გაენადგურებია. რა იქნება შემდეგ ის არ დაეძება მას. ავიწყდება ცხოვრების პროგრეს წინმსვლელობის ნაბიჯით ნელ-ნელა მომავალს ებლაუჭება და წასულს ზიზლით იხსენიებს, მას ავიწყდება, რომ პროგრესითხოულობს დროს, შეერთებულ კოოპერატიულ ძალას. ცხადია მისთვის, რომ ახლანდელი ცხოვრების წეს-წყობილება დიდათ დაუჯდა ეროვნებას, ბევრათ გაუსწრო მან წინ წარსულ საუკუნოების მდგომარეობას, ამისათვის დღევანდელ ხალხს კიდევ ვაც შეუძლია დაიკვეხოს ბევრის მხრიდგან წარსულის საუკუნოების ერის წინაშე: ჩენ იმ ბურუსში აღარა ვზივართ, როგორც თვალ ახვეული ნისლით დაბურული ატმოსფერაში ისხდნენ ჩვენნი მოყვასნი.

იგი აღელვებული არის—სურს მოსპოს დედამიწაზედ ყოველივე და იქ—რაც უნდა იქნეს.

ერთს ნემეცს ხელოსანს—შნეიდერს აქვს სურათი აღელვებული ანარხისტისა. მარჯვენა გვერდის ურათისა წარმოადგენს დიდს მთას, ზედ აგებულია მშვენიერი ტაძარი; ტაძარში გამოჭრილი არის ვებერთელა სტატუები. გარეგანი მხარე ტაძრისა ნათლათ ამტკიცებს, რომ იქ სამი ათასი წლის წინათ მუშაობდა, სისხლს დვრიდა ერი და ნაშთითვისი ხელოვნებისა დასტოვეს კიდეც.

მეორე გვერდზედ დახატულია ტიტველა კაცი. მას თავზედ აქვს გალვავებული ყუმბარა, მზათა, სადაც არის იფეთქებს. იგი მისწრავის რამდენიმე საუკუნის წინათ გამშვენებული ძველის ნაშთების მოსასპობათ. იმას არ აწუხებს არც ის, რომ სადაც არის ყუმბარა იფეთქებს და ისიც იქვე უნდა გააქრის მან, რომელმაც უნდა გაანადგუროს ხელით ნაკეთები ნაშთები.

იმის შეხედულობით ცხოვრება წარმოადგენს რალაც ხელთ-უქმნელ უსულო რეგის, სიცოცხლეც და ერთა მოძრაობაც უმნიშვნელო არის. ივარის ტიტველი.

იგი გამსჭვალულია შურით, მტრობით, სიძულილით ყველასადმი და უნდა მოსპოს ყოველივე ამგვარი გაშიშვლებული და გამხეცებული პირები გამოიწვევენ საზოგადოებაში სიბრალულს შეწყალებას და ზიზლს. დასჯა ამისთანა პირების იქნება უნაყოფო, უნდა ავსნათ პირობები, რომ

უებიც ჰქმნიან ამგვარ არა სასურველ ადამიანებს და ვიხმაროთ ზომები მათ გასასწორებლათ.

ქ. მოსკოვში ერთ კარგ ოჯახში მოკლეს დებაბერი, მკვლელი აღმოჩნდა მისი ძმისწული და ისი ნათლული ნიკო, თვრამეტი წლის ყმაწვილი, რომელსაც ეს უდანაშაულო მოხუცი ანაცვალებდა ივის სიცოცხლეს და ინახვდა თითო-ოროლა გროვს.

მოკიდებს მანათიანს ხელს მოხუცი, ჩასდებს უუთში და ლიმილით ეუბნება თავის თავს: აი ეს მანათიც ნიკოს უულებს მიემატება. აი ესტუმრება ნიკო მოხუც მამიდას—ნათლიას. მოხუცმა არ იცის რით გაუმასპინძლდეს ძვირფას ნათლულს.

გაიქცა მოხუცი მოახლოეს დუქანში, მოიტანა ხელადით წითელი ღვინო და მასთან კარგი საუზმეც მიუტანა.—იცის ნიკომ, რომ მოხუცი ნათლია მისი სულით და გულით დანდობილი მასზედ. ხედავს ყმაწვილი რამოდენიმე წლის მოგროვილი ოქროს და ვერცხლის უულები მამიდისაგან ინახება მისთვის. საუბედუროთ ნიკო არ უძღვნის მას არც სიყვარულს არც მაღლობას. მას არ აქვს ერთი ბეჭვა კაცური უთიქიური გრძნობა. იგი მთლიად დაუმორჩილებია გაუმაძლარ მუცელს, ნაცვლად სულია. ზენობრივი გრძნობა თანდათან ჰქრება მასში და მუცელი კი ხმა-მალლა უძახის: „მომშივდა საჭმელი მომეციო“.—უცადე ბებრის სიკვდილს, როდის იქნება მისი სიკვდილი?

მოვკლავ და გათავდა! რაც რამ აბადია წავიღებ და ვისიამოვნებ, დროებას ვატარებ. გადაწყვიტა კიდევაც განზრახვის ასრულება. ყმაწვილი იდულობს დიდ დანას. მოხუცი მიდის სავაჭროთ ბაზრისკენ. ყმაწვილი ექებს მოხერხებულ დროს. მამიდას არა სახლში ყოფნის დროს ნიკო აღებს გარედვან სამზარეულოს, კარებთან იმაღება ნათლიის ლოგინის უკან. შემოდის მოხუცი, ვერავის ამჩნევს. ყმაწვილი ელოდება მამიდას დაძინებას. მოხუცი მიეცემა ტკბილ და უდარდელს ძილს. ნიკო პარებს ჩემათ მოლესილ დანას ზურგიდან თავის ყოფელ-წამში დაუვიწყარ და მოყვარულ მოხუცს. დანა უკანიდგან წინ მუცელში უესრიალდება და საბრალო მოხუცი სულს ნაბავს.

ყმაწვილი მივარდება უუთს ტეხავს. უუთში აღმოჩნდება მხოლოდ შვიდი მანეთი და ათი შაური.

აღმოჩნდა თურმე მოხუცი ფულებს კასაში ინახვდა ხოლმე.

როგორ უბრალოთ შეასრულა ყმაწვილმა ყველა ესეები, და როგორი საზიზლარი საქმე ჩაიდინა!..

მოვიდა სტუმრად, მოესიყვარულა ნათლიას და შემდეგ ნაცვლად სიყვარულისა სიცოცხლე მოუს-პო.

ვითომც გზაში მიდიოდა, ბუზი გასრისა და გზას გაუდგა.

არც სიყვარული, არც სინდისი, არც სიბრა-ლული, აი სრულიად ტიტველა და ცარიელი სული 18 წლის ყმაწვილისა.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

## ორიოდე სიტყვა მამა მრავალოზ კაცელაპის უკუღმართობის ზესახებ.

მ. ერმალოზ კანდელაკმა ყალბი ნომრით, ქურდულად ფოსტით გამომიგზავნა ერთი პატარა წიგნაკი, შედგენილი და გამოცემული მისგანვე ამ სა-თაურით: ჩექნებური უკუღმართობა, შედგენილი და გა-მოცემული დექ. ერმალოზ კანცელაკისაგან. უძღვნი დებ-დავით ღაბაშიძის შეგრძელების და ერთ ნაწილს ამ წიგნი-სას ქართულ მრესის წარმომადგენლების. ქუთაისი. ი. კილაძის და ი. ხელაძის სტამბა 1905 წ.

როგორც წიგნაკის სათაურიდან სჩანს ეს წიგ-ნაკი მ. კანდელაკს უძღვნია ჩევნი მეგობრებისათვის და ჩევნ რისთვის გამოგვიგზავნა—ვერ გაგვიგია. რა საჭირო იყო მისი ქურდულად გამოგზავნა ფოს-ტით, ყალბი ნომრით, როდესაც მის გამოსაგზავნად საქამაო იყო ორი კაპეიკა! ნათქვამია, ჩევეულება რჯულზე უმტკიცესია. ყალბათ სხვის მაგიერათ ხელის მოწერის დაჩვეულია მ. ერ. კანდელაკი და ორი კაპეიკის გულისათვის აღარ მოერიდა სახიფა-თო საქმეს... ამ წიგნაკს ჩევნ სრულებით არ გავს-ცემდით პასუხს, რომ ჩევნთვის არ გამოეგზავნა, მაგრამ აღბათ სურს მ. კანდელაკს პასუხი მიიღოს ჩევნგან და ჩევნც იძულებული ვართ პასუხი გავს-ცეთ. პასუხს ვაძლევთ მით ნამეტურ, რომ ჩევნი პასუხი ზოგიერთ პირების ბევრ უკუღმართობას გა-მოაჩენს და ცხადათ დაანახვებს საზოგადოებას ჩევნს უკუღმართს ბატონებს და მათ «ლვაწლს».

მ. ერმალოზ კანდელაკს დიდ გენიოსად მიაჩნია თვი და შერით შეპყრობილია, რომ სხვებსავით არ ეხერხება წერა. ხშირად გზავნის რედაქციებში რაღაცა ნაწერებს, მაგრამ არ უბეჭდავენ და ამისათვის გული მოსდის და ილანძლება! ამასთან მცირე-წლოვანებიც კი შეამჩნევენ მას ახირებულ დონკი-ხოტობას.

ორი წელიწადია სწორეთ რაც მ. კანდელაკი მაცადინობს ამ წიგნაკის დაბეჭდების საერო უკრნალგაზეთებში. მაგრამ უკან დაუბრუნეს და არ დაუბეჭდეს, აღმართ არ სურდათ კანდელაკის ლირსების დამცირება!.. ბოლოს როგორც იქნა ელიტა წიგნაკად გამოცემის და, ეხლა მუხლ მოდრეკით, სთხოვს ჩემს მეცობრებს წიკითხონ და შეიტყონ, თუ როგორი კაცი ვარ მე და როგორი მოღვაწე ბრძანდება მამა ერმალოზ კანდელაკი.

გადავიკითხეთ ამ „შესანიშნავ“ წიგნაკის ათი გვერდი და დავრწმუნდით, რომ მ. ერმალოზ კანდელაკი, როგორც ლაპარაკის დროს იცის ხოლმე, მხოლოდ ქაქანობს, ყვირის, იმუქრება, ილანძლება, ღობე-ყორეს ედება და რა უნდა სთქვას—ვერ ტყობილობთ. „ღამბაშიძეს რათ ირჩევენ ყოველთვის თავმჯდომარეთო, ტელეგრამები დავწერე, ეპისკოპოსმა მოიწონა, სამღვდვლოებამ მოიწონა; ამ ტელეგრამებით სემინარია გვეხსნებოდა და გავკეთდებოდით, მე ამ ტელეგრამებზე ყალბათ ხელი მოვაწერე და ეს ღამბაშიძემ გამოაშარაო და სემინარის საქმე დაიღუპაო, მე კარგად დავწერე ტელეგრამა, მაგრამ ღამბაშიძეს შეეხარბა და არ მოიწონა, რადგან მისი დაწერილი არ იყოვო“.

მიკვირს რომ ერმალოზ კანდელაკს არ რცხვენია რაღაცა უშინაარსო ტელეგრამებზე ლაპარაკი.\* ) მიკვირს, რომ დღემდის კიდევ დასტურის მისთანა სემინარიის დახურვას, რომელიც დაგმობილია მთელს რუსეთში ყველა შეგნებული კაცისაგან და არც ერთ მათგანში შეგირდების ჭაჭანება აღარ არის! მ. ერმალოზ კანდელაკს სძინავს კიდევ და ვერ გაუგია, რომ დღეს სულ სხვა სასწავლებლებს არსებენ უვარებისი სემინარიების მაგივრ. რაიცა შეეხება იმას, რომ სინოდი ინახავდა ვითომც ამ სემი-

\* ) ერმალოზ კანდელაკისაგან ყალბად ხელმოწერით ტელეგრამების შესხებ გრცელი ჰასუხი იხილე „მწევა-შეა“-ს შე-8 ნომერში მეორე გვერდიდან.

ნარის თავის ხარჯით ეს სიცრუეა. თოთხმეტი ათასი მანეთი ჩვენი საეკკლესიო ხაზინების ფულიც იხარჯებოდა. კანდელაკმა არ იცის, რომ მიზეზი ამ სემინარიის დახურვისა იყო სულ სხვა და არა ორასმი შეგირდებისაგან ჩადენილი დამნაშაობა. რომ კანდელაკისაგან შეთხულ და მისგანვე ყალბად ჩემს მაგიერ ხელმოწერილი ტელეგრამებს არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა, როგორც პირველად ვამბობდი, მტკიცდება მით, რომ არავითარი პასუხის ღირსი არ გაუხდიათ სამღვდელოება. გვიკვირს, რომ მამა ერ. კანდელაკი საზოგადოების აურჩევლად ეჩრება სამღვდელოების კრების სხდომებს და მხოლოდ იმას მაცადინობს, რომ სამღვდელოების ფულების გაჩუქებით მოიგოს ხოლმე გული და მეცობრული კავშირი დაიკავოს ზოგიერთ მისგან სათაყვანო პირთან...

1904 წელში მ. ერმალოზ კანდელაკი შემოვიდა სამღვდელოების კრებაში, რომელიც იყო ქუთაისში და განაცხადა, რომ კნეინა თავდგირიძეს ხუთასი მანეთი საჩუქარი უნდა დაუნიშნოს სამღვდელოებამო, რადგან იგი სასულიერო მთავრობამ სამსახურიდან დაითხოვაო. ამ დროს ხეցებული კნეინა პეტერბურგში იყო მისი თანამდებობის ფუნქციაში დათხოვნისაგამ. სამღვდელოების კრებამ დაადგინა 500 მ. მიცემა საჩუქრად თუ მართლა დაითხოვდენ შას. სინოდმა იგი არა თუ დაითხოვა, არამედ უკეთესი ადგილი მისცა. ამის შემდეგ ხუთასი მან. მიცემა საჩუქრად, ჩემის აზრით უჯერთ იყო და საბჭოსაც აღარ მიუცია ეს 500 მანეთი. მეორე კრებაზე გაჩნდა კიდევ ერმალოზ კანდელაკი და დაუწყო ველება დებუტატებს უთუოდ მიეცათ მისთვის ეს 500 მანეთი. დებუტატებმაც ჩვეულების მებრ არ მიხედეს იმას, რომ კნეინა თავდგირიძისა არ თხოვილობდა საჩუქარს და დაუნიშნეს საწყალი მღვდლების ფულებიდან 500 მ. და მისცეს კიდეც.

ერმალოზ კანდელაკი ყვირის: კნეინა თავდგირიძისამ თავისი სიცოცხლე შესწირა სასწავლებელს და იგი მან ააყვავაო. რაში მდგომარეობს სასწავლებლების აყვავება ამას არ განმარტებს მ. კანდელაკი, მაგრამ ის ხომ განმარტებას არ დაეძებს, მხოლოდ სთქვას და იმის დარღი არ აწუხებს მართალს ამბობს თუ ტყუფილს!..

სამღვდელოებას სამი წლის განმავლობაში 15 ათასი მანეთი ჰქონდა შეგროვილი პანსიონის ასა-

შენებლად. თუ პანსიონი არ აშენდებოდა ეს ფულები სამღვდელოებას უკან უნდა დაებრუნებია. უკანასკნელ კრებაზე სამღვდელოებამ გადასწყვეტა: ეს თუთხმეტი ათასი მანეთი უკანვე დაიბრონოს. მაგრამ ამ ფულებიდამ ქალების სასწავლებლის საბჭოს რვა ათას მანეთამდე უკანონოდ დაუხარჯავს და დანარჩენი ფულებიდან 500 მანეთი კიდევ საჩუქრად მისცეს კნეინა თავდგირიძისას. ჩემის აზრით ეს თუთხმეტი ათასი მანეთი, ეხლიანდელ დროში, სამღვდელოებისათვის კარგი შემწეობა იყო, მაგრამ სად არის გამკითხავე? მე რა დავაშავე? არაფერი. კნეინა ნინა თავდგირიძისას ჯამაგირათ წელიწადში ეძლეოდა დანიშნული 500 გ. ჩვენი ხარჯით იყო მოსამსახურე, სახლები, შეშა და განათება. თუმცა კანონით არ ერგებოდა, მაგრამ ხარჯსაც იღებდა. ყველა ესები რომ იანგარიშის კაცმა ცოტა ფულს არ შეადგენს. თუმცა მამა კანდელაკი იძახის, რომ სასწავლებელი აყვავდა და მისმა უმფროსმა ქალმა სიცოხლე შესწირა, მაგრამ ეს ცარიელი სიტყვაა, რომ იტყვიან „უპრაგონო“. ფულების ანგარიშის საქმე და სასწავლებლის მდგომარეობისა კი, ჩემის აზრით, არ ირის აყვავებული. თუ მართლა აყვავებულია შეიტყობს სამღვდელოება ცოტა ხანში!..

«საკვირველია, ღმერთმანი, ბრძანებს კანდელაკი, კრებებზედ დეკ. ღამბაშიძე წინააღმდეგია ყოველთვის მასწავლებლების ფულის საჩუქრებით დაჯილდოვებისა. ვერ გამიგია და ვერ ამისხნა ვინ დააყენა დეკ. ღამბაშიძე სამღვდელოების ჯიბების ვექილად». იხილე წიგნაკის გვერდი მე-12. რა პასუხია საჭირო კიდევ კანდელაკისაგან ამისთანა წარმოთქმულ სიტყვებზე? მამა ერ. კანდელაკი მომავალებს ერთ თათარს, რომელსაც ერთი საძაგელი საქმისთვის ასამართლებდენ. პროკურორმა ამ თათრის ციმბირში გაგზავნის გარდაწყვეტა სთხოვა ოლქის სასამართლოს. პროკურორის აზრმა გააოცა ეს თათარი და სასამართლოს მოახსენა. „მე ბითონო, ფროჭურორთან არა დამიშავებია-რა. ის საქმე რომელიც მე ჩავიდინე სხვასთან იყო და პროკურორს რა უნდა ჩემგან? მე მას რა დაუშავე?“ ამ თათრის შეჯელობა და მამა ერმალოზ კანდელაკისა, თუ რას დავეძებ მღვდლებისჯიბის ფულების ხარჯვას — სწორეთ ერთნაირია!.. როგორ არ დავეძებ, როდესაც სამღვდელოება გვავალებს, როგორც ვეპუტატს დავიცვა მისი ინტერესები? ამ საჩუქრად

მიცემულ ფულებში სხვა საწყალი მღვდლების ფულებთან ჩემიც არის! მთელ საბლალობინოდან ყოველთვის ჩემგან იღგინება ხოლმე სამღვდელოების გადასახდელი უკლებლივ. მამა ერმალოზ კანდელაკის ფულები და მისი საბლალობინო მღვდლებისა არც ერთი გროში არ ურევია ამ გაჩუქებულ ფულებში და არც იმ უკანონოდ დახარჯულ ფულებში, რომელიც სასწავლებლის საბჭოს დაუხარჯავს. მამა ერმალოზ კანდელაკს თავის და თავისი საბლალობინო მღვდლების გარდასახადი სრულებით არ წარუდგენია, როგორც ეს კომისიამ აღმოაჩინა. აბა მითხარით ერთი, რა ენაღვლება მას ჩვენი ფულებისა! კიდეც ილანძლება თუ, როგორ ვგედავ მე და რა უფლება მაქვს მღვდლების ჯიბეს გაუფრთხილდე!?. დიალ, აი ვინ არიან ჩვენში უკულმართები!.. დარიბ მღვდელს წაგლიჯოს კაცმა და მისცეს საჩუქრათ, მას, ვინც უზრუნველყოფილია? ეს არ ამტკიცებს დეპუტატების გამჭრიახობას. განა გონიერი საქმეა ის, რომ გამოუცხადოთ: ვისაც სწავლა გინდათ თქვენ შეინახეთ სასწავლებელიო? ამას ამბობენ გლეხებიც: ვისაც უნდა მღვდელი მათ არჩინონ იგინო!.., არა, მამაო ერმალოზ, თქვენებურად მსჯელი და მოაზრენი არიან უკულმართნი და პარასინი, რომელნიც იცავენ სამღვდელოების ინტერესებს და მათ ჯიბეებს მტაცებელთავან...»

ნუ-თუ ჩვენი მეგობრები, რომელნიც ამას წაიკითხავენ არ გასცემენ პასუხს მ. ერ. კანდელაკი? ნუ-თუ ამისთანა კაცებს კრებაზე სიტყვის ნება უნდა მისცონ დეპუტატებმა?..

მამა ერმალოზ კანდელაკს მოუჭიმავს ტვინის ძაფები და დიდი ფაქტის შემდეგ მოყავს «ცოცხალი ფაქტები» დასამტკიცებლად ჩვენის არარაობისა და დიდი „მავნე მიმართულებისა.“ ჩვენ, რომ მოკლედ მოვიყვანოთ მისგან დასახელებული ეს ფაქტები არ დაიჯერებთ, რჯულის მადლმა, მკითხველო. სჯობს თეითონ ავალაპათარაკოთ მამა კანდელაკი თავისი მექრმეტყველური ენით. აბა, სიბრძნით აღემართენით და ისმინეთ!

„ნეტავი მითითოს მამა დეკანოზმა, რომელი სამღვდელო პირთან ჰქონდა და აქვს მას ძმობა და თვისება? რომელი მღვდელმთავართან ჰქონდა და აქვს კეთილი განწყობილება? რომელი საეპარქიო კანცელიარიის მდივანთან აქვს და ჰქონდა კარგი კავშირი? რომელ კათედრის დეკანოზთან აქვს და



ჰქონდა თანაძმობა და მეგობრობა? რომელი სასწავლებლის ზედამხედველთან არ ჰქონებია შეტაკება, რომლის მიზეზით ერთ დროშიდ რევიზორი პატოცკისაგან იყო დათხოვნილი სამმართველო მწევრობისაგან. მისი ხასიათის შეუთვისებლობისაგამო არც ერთს ქუთაისის სასულიერო დაწესებულებაშიდ მას ადგილი არ აქვს და განძევებულია, ვითარცა კეროვანი, მხოლოდ დარჩენია ბურთი და მოედნი დაბა ყვირილაშიდ, თუმცა იმავე მიზეზით არც იქ უპოვნია ამხანაგი და მეგობარი.“

დღიულ, სრულებით მართალს ბრძანებთ, მამაო ერმალოზ, რომ მე ვერ მოვახერხე მეგობრობა და კარგი გაწყობილება ვერც-ერთ თქვენგან დასახელებულ პირებთან. მე არ შემიძლია თქვენ წაგბაძოთ და მოვახერხო იმ მოწყალების, ყურადღების და მეგობრობის დამსახურება როგორც თქვენ შეგიძლიათ ვპარქის კანცელარიის სეკრეტრებთან აც-კათელის დეკანოზებთან, სმოტრიტლებთან, რევიზორებთან, ოლქის მზრუნველთან და უნდარმებთანაც. ჩემი ცოდვილი ენა არ ავქვა სასასა ჩემსა, რომ არ მემხილებია ფულების გაფლანგვა ერთისვის ორი ათასი მანეთისა, მეორესთვის ხუთი ათასი მანეთისა, მესამესთვის რვეა ათასი მანეთისა, მეორესთვის თვრამეტი ათასი მანეთისა და სხვათათვის, და სხვათათვის და სხვათათვის **500—1000** მანეთამდის და ისიც საწყალი სამღვდელოების ჯიბიდან და მათ ხაზინიდან წაღებული. ამ ბატონებს და განსაკუთრებით რუსეთიდან და ექსარხოსიდან გამოგზავნილ რევიზორებს, მართალია, უამიგით ვსხულდი. აღვიარებ, მე ცოდვილი, რომ ის საშუალება და ის ზომები მე ვერ ვიხმარე ამ კაცების გულის მოსაგებად და დასამეგობრებელად რასაც თქვენ ხმარობდით და დღესაც ხმარობთ. როდესაც თქვენ სამღვდელოების დეპუტატებს სეკრეტრების გულის მოსაგებად სამღვდელოების ფულის გაჩუქებას სთხოვდით, მე ცოდვილი, სახალხოდ და ბეჭედითი სიტყვით **«პროტესტს»** ვაცხადებდი და წინააღმდევგი ვიყავი. მამა ერმალოზ კანდელაკი, რომ რევიზორებს სამტრედიაში ხვდებოდა და ზოგს კიდეც ოჯახის კურთხევისათვის სახლში ეპატიურებოდა და ხმამაღლა იძახოდა გაუმარჯოს შათო, მე ცოდვილი ვიძახოდი: „ძირს“—მეთქი.

როდესაც განსვენებული მზრუნველის იანოვ-სკის განკარგულება ქართული ენის მოსპობაზე დავ-

გმე, პროტესტი შევიტანე 1885 წელში და სამსახური მივატოვე ყვირილის ნორმალურ სკოლაში, მამა ერმალოზ კანდელაკი სამტრედის ნორმალურ სკოლაში მთელი ერთის მიზნის ტროპარ-კონდაკები პატარა მოსწავლე ვაჟებს და ქალებს სლავიანურად თუთიყუშებურად შეასწავლა და მზრუნველს უმტკიცებდა: რესულად სწავლება ადვილიც არის და სასარგებლოცო!.. რევიზორი, არხიმანდრიტი სტეფანე არხანგელსკი, რომელსაც სამტრედიაში შეეგება მამა ერ. კანდელაკი ხშირად აქებდა და იტყოდა ნეტავი ისეთი მიმართულების იყოს ჩევნთვის ყველანი იმერეთში როგორისაც არის მამა ერ. კანდელაკი. თქვენ მ. ერმალოზ იმდენი დამსახურება მიგიძლვესთ რევიზორებთან, სეკრეტარებთან და განსაკუთრებით მზრუნველთან, რომ უფლების არა მქონებელს გებმარებიან, რომ აღვილი იშოვო გიმნაზიაში, თუ მოახერხებ და რომელიმე საღმრთო სჯულის მასწავლებლიდან შეისყიდი ამ თანამდებობას, საიდუმლოდები ისე, რომ უმაღლესი სწავლის მიმღებმა არავინ შეიტყოს და არ შეეცილოს. როგორ შემიყვარებენ მე სასულიერო სასწავლებლის სმოტრიტლები, რომელნიც ნიაღავ ბრაზდებოდენ როცა მათ ვამხელით სიტყვით და ბეჭდვით და უმტკიცებდით მათ არა სასარგებლო მსახურებას და ნამეტურ მღვდელების ფულების უკანონოდ ხარჯვას? როგორ შემიყვარებენ მე თქვენგან ჩამოთვლილი პირები როცა არც ერთ მათგანს არ ახსოვს, რომ დღესასწავლები მიმელოცა თქვენებურად, ძველებურად!..

მამა ერმალოზ კანდელაკი განაცხადებს, რომ ჩვენ არც ერთი ეპისკოპოსი და არც ერთი კათედრის დეკანოზი მაღრიელი და მეგობრულად განწყობილი არ გვყოლებია. „იმერეთის ეპარქიის კანცელარიაში დიდი მასალა მოიძებნება ჩენ ბიოგრაფიათვის ვინც შეუდება იმერეთის ეპარქიის ისტორიის შედეგნასო—ბრძანებს მამა ერ. კანდელაკი. მართალს ამბობს მ. ერმალოზ კანდელაკი. რამდენჯერმე ცირკულიარული მიწერილობაც გაიგზავნა განსვენებული ეპ. გაბრიელისაგან იმის გამო, რომ ვითომ მე მტერობით უგონებდი ფულების გაფლანგვას ერთს მასთან დაახლოებულ მოსამსახურე საპატიო პირს; აქებდა ამ საპატიო პირს მისი უანგარობისათვის, მაგრამ როცა თვრამეტი ათასი მანეთი აღმოაჩნდა შეკვრებილი, ბევრი იჯავრა და დიდი უსიამოვნება მიიღო, მაგრამ გვიან იყო. მეორე გზის

დიდი საყვედური მივიღე იმისთვის, რომ პეტერბურგის რუსულ გაზეთებში წერილები დაგაბეჭვდვინე და განვიცხ ჩვენი უფიცი საეკკლესიო მამულების მთავრები და ბოლოს ამ მამულის კიტრის ფასად დამტკველნი. ამ დროს მამა ერ. კანდელაკი თავის სიმამრით, როგორც ეპისკოპოსის მონათესავნი ქვეყანას უმტკიცებდენ, რომ დიდი სასარგებლო საქმე ჩაიდინეს ხაზინის უწყებაში საეკკლესიო მამულების გადაცემით?! არ ვფარავ იმასაც რომ ბესარიონ ეპისკოპოზის ყურადღება ვერ დავიმსახურე ისე როგორც დაიმსახურა მ. ერ. კანდელაკმა. ერმალოზ კანდელაკი ნიადაგ მაცალინობდა დანათესავებოდა ბობოლა პირებს და ბავშებიც მოენათლინებია რომ „რეკომენდაციით“ ესარგებლებია. მე ცოდვილმა ესეები არ ვიცოდი! რაიცა შეეხება დღევანდელ მღვდელმთავრის და კათედრის დეკანოზის ჩემზე შეხედულებას, მე ვგონებ, რომ მამა ერ. კანდელაკისათვის არავითარი ვექილობა მათ არ მიუციათ და არც მის ქომაგობას საჭიროებენ. ესეთი, არამკითხე ვექილობა, ერმალოზ კანდელაკისათვის უნდა სასირცხო იყო და მისი ესეთი საქციელიც „დათვის მეგობრობას“ უნდა ემსგავსებოდეს. კათდრის დეკანოზი მამა ცაგარეიშვილი თუ რამეზე დაშტრაფეს და ან უსიამოვნობა რამე შეხვედა ჩვენით თვითონ შეუძლია განატხადოს და დაკმაყოფილება ითხოვოს ჩვენგან. შეიძლება შინ მუსაიფობის დროს კაცმა რამე სთქვას კაცზე, მაგრამ გარეთ, საქვეყნოთ და ბეჭვდეთი სიტყვით მისი ლაქლაქი სირცევილია ყველასათვის და ნამეტურ ერ. კანდელაკისათვის. დანარჩენი შინაარსი ამ ახირებული წიგნაკისა მკითხველს წარმოუდგენს სუსტი ტვინის არეულ-დარეულ აზროვნობას და სასაცინო ავტორის დოკუ-ხოტობას. მამა ერმალოზ კამდელაკი უსირცხოდ სცდილობს საზოგადოების თვალში და-გვსახოს ჩვენ სწავლა-მეცნიერების წინააღმდეგად და ის რაც ჩვენის ინიციატივით გაკეთებულა მაცადინობას მიაწეროს მამა დეკ. გაბრიელ ცაგარეიშვილს. ვა-ლაპარაკოთ თვით ერმალოზ კანდელაკი:

„რააოდენიმე წლის წინეთ იმერეთის სამღვდე-ლოების დეპუტატთა კრებას დეკანზე ცაგარელმა, როგორც თვაჯდომარემ, წინადადება მისცა, რომ აღეძრათ შვამდგომლობა უმაღლესი მთავრობის წი-ნაშე ეპარქიალური საქალებო სასწავლებლის დაარ-სებაზედ ჭ. ქუთასიშიდ. თუმცა ამით ისედაც ნივ-

თიერად დაქვეითებულ სამღვდელოებას დიდი ხარ-ჯები ემატებოდა, მაგრამ მაინც დიდი თანაგრძნობით მიევებნენ ამ წინადადებას და უურნალის შედგენაც მოითხოვა. ამ დროს წამოდგა დეკანოზი ლამბაშიდე და მტკიცება დაუწყო კრებას ამ წინადადების უსარ-გებლობა, ზოგიერთი პირების უვიცობა ამ საქმე-შიდ. მე მომანდო ობერ-პროკურორმა გადმოგცეთ თქვენ უსარგებლობა ამისთანა ტიპის სასწავლებლი-საო. დეკანოზ ცაგარელმა მიხვდა თუ არა დეკანოზ ლამბაშიდის იერიშს, სიტყვა გააწყვეტინა და ქრება დახურულად გამოაცხადა მეორე დღემდის“.

საუბედუროდ გატარებულმა ტუნის მუშაობამ გაიტაცა ერ. კანდელაკი და სრულებით დაავიწყდა რა მოხდა მეორე დღეს ქალების სასწავლებლის და-არსების შესახებ? როგორ გადასწყვიტა ეს საქმე კრებამ? ეს აღარ ახსოვს მამა ერ. კანდელაკს... საჭიროა მოვიყენოთ ჩვენ აქ იმ კრების ანგა-რიში, რომელზედაც იმერეთის ქალების სკოლის დაარსების საქმე გარდასწყდა. აი ეს ანგარიში:

„ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისაგან ქუთასისის სასულიერო სასწავლებლის საქმეების შესახებ იყო დანიშნული იმერეთის სამ-ღვდელოების კრება 1889 წ. აგვისტოს 11, 12 და 13 რიცხვებში. დანიშნულ დროს მოგროვდნენ დეპუ-ტატნი. 11 რიცხვს წინა კრების ყოფილმა თავსმჯ-დომირემ მ. მ—ძემ შეამოწმა რიცხვი დეპუტატთა და აღმოჩნდა საკმაო რიცხვი დეპუტატთა კრების გასახსნელად. დეპუტატები შეუდგენენ ახალი თავს-მჯდომარის და საქმის მწარმოებელის აღრჩევას. კრებამ დანიშნა თავსმჯდომარედ მ. ი. აბესაძე. 12 რიცხვს, დილით დეპუტატები მოგროვდნენ სასწავ-ლებელში; თავსმჯდომარე მ. აბესაძე შეუდგა საქ-მეების განხილვას“...

„ამ კრებაზედ დადგინდა ერთი კეთილი საქმე, რომელიც საუკუნო მოსაგონებლად გახდის ამ კრე-ბის დეპუტატების სახელს. აი საქმე რაშია: კრებაზედ დეპუტატში დეკ. დ. ლამბაშიდემ განუმარტა სამღ-დელოებას მიუცილებელი საჭიროება ქალების სას-წავლებლისა, უჩვენა კრებას საშუალება და წყარო-ები ამ სკოლის შესახავად, მიუთითა ადგილი, თუ სად შეიძლება ქალების სკოლის გახსნა. ერთი სი-ტყვით, ამ საგნის შესახებ ყველა მოსაზრება დაუ-ყენა სამღვდელოებას წინ. დეპუტატებმა დიდის თანაგრძნობით მიიღეს ეს წინადადება.“



„კრების სხდომის უკანასკნელ დღეს შემობრძანდა ყოვლად სამღვდელო, იმერეთის ეპისკოპოსი გამრიცელი და სამღვდელოებას განუმარტა სანთლის ვაჭრობის სარგებლობა ეკვლესიების და სასწავლებლებისათვის. დარიგების გათავების შემდეგ დეკ. დ. ლამბაშიძე წამოდგა და მოხსენა შემდეგი სიტყვა მღვდელ-მთავარს: „თქვენ ყოვლად უსამღვდელოებობავ, მოწყალეო მწყემთ-მთავარო! იმერეთის ეპარქიის სამღვდელოება არასოდეს არ დაივიწყებს თქვენს ღვაწლს და შრომას, რომელიც თქვენს ღვაწლს და შრომას, რომელიც თქვან მის გონებითად და ნივთიერად გაუმჯობესობისათვის ჩაიდგნეთ. ბევრი წარმატება მიენიჭა მას თქვენგან ამ ოც-და-ათი წლის განმავლობაში, მაგრამ ერთი რამეს უმექონლობა ძლიერ აწუხებს ჩვენს სამღვდელოებას. კარგათ მოგეხსენებათ, თქვენ ყოვლად უსამღვდელოებობავ, რომ მთელს რუსეთის იმპერიაში გარდა ჩვენი დასავლეთი საქართველოის ეპარქიებისა ერთი ეპარქია არ მოინახება, რომელშიაც ექვს-კლასიანი და სამ-კლასიანი საქალებო ეპარქიალური სასწავლებელი არ იყოს. ჩვენი გლეხებიც კი ცდილობენ თავიანთ ქალებს განათლება მიანიჭონ და ამისათვის სკოლებს ხსნიან. ჩვენს სამღვდელოებას კი არ თუ ექვსი და საი-კლასიანი საქალებო სასწავლებელი არა აქვს, ერთ-კლასიანი ქალების სასწავლებელიც არ მოინახება ეპარქიაში. ყველა ჩვენ ამ კრების დეპუტატებმა ჩვენი მარწმუნებლებითურთ აცდა-ათი წლის თქვენის ნაყოფიერი და ხანგრძლივის სამსახურის პატივსაცემად განვიძრახეთ სამ-კლასიანი მოსამზადებელი კლასებითურთ ეპარქიალურის ქალების სასწავლებლის გახსნა ქუთაისში თქვენის სახელ წოდებით. ამ სასწავლებლის გასახსნელად ამ თავითვე ჩვენ ვწირავთ 15 თას მანეთს სახელ-შწიფო ბანკის ბილეთებით, რომელიც სამღვდელოებას აქვს დღეს თვალათ და სხვა წყაროების გამონახვას მალე შეუდგებით. სრული დარწმუნებული ვართ ჩვენ სამღვდელოება, რომ ამ საქმეს თქვენივე შემწეომით და დახმარებით დააგვირგვინებთ. სამღვდელოება დაიმედებულია, რომ ამ კეთილი საქმის ვანხორციელებისათვის დაუთმობთ მას სტრუიცის სოულს მამულს, ეკვლესის და სახლებს, რომელი მამულისაგან არავითარი სარგებლობა სასულიერო უწყებას არა აქვს-რა, თუმცა იგი ძვირად ღირს და შვენიერ ადგილზედაც არის. ეს სასწავლებელი

ნიადაგ დარჩება სამღვდელოებას თქვენის მამობრივი მზრუნველობის და სახელის მოსაგონებლად“.

„ყოვლად სამღვდელომ გამრიცელმა დიდის ყურადღებით მოისმინა მოხსენება მ. ლამბაშიძისა და დიდი მოხარული და მაღლობელი დარჩა მამ დეპუტატებისა მეგვარ კეთილ სასარგებლო მოსაზრებისათვის. მისმა მეუფებამ ბრძანა, რომ ის თანხმა იქნება ამაზედ და თავის მხრით დაეხმარება სამღვდელოებას ამ კეთილი საქმის სისრულეში მოყვანისათვეს“.

იქნიეთ მკითხველო სახეში რომ გამრიცელ ცაგარეიშვილი სრულებით არ ყოფილა ამ კრებაზე და არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ამ საქმეში. მოგვყავს მთელი კრება სამღვდელოებისა დამსწრენა ამა კრებისა და მცოდნენი ამ საქმისა.

ეხლა მიბრძანეთ, მკითხველო, რა უნდა უწოდოთ ამისთანა ცრუ მწერალს, რომელიც ასე უსირცხვილოდ ამახინჯებს ნამდვილ ფაქტს? რა უნდა ისწავლოს სამწყალო ამისთანა ცრუ მოძღვრისაგან?

საჭიროდ შიმაჩინა ერთი ფაქტს გამომტევნებაც. განსვენებულმა სტრუიციმ კარგა ფასის მამული დაუტოვა სასულიერო უწყებას ქუთაისში. როგორ მოიხმარა სასულიერო მთავრობამ ათი წლის განმავლობაში მშვენიერი ორანჟერეია, ბალი და შენობები? მიაქირავეს სხვადასხვა პირებს, მაგრამ ნაცვლად სარგებლობისა კიდევ ფული დაატეხეს გარდასახდელად. ბოლოს ეპისკოპოზეს გაბრიელს შეაგონეს სულ მოეშორებინა ეს ეკვლესია თავიდან. ეპკლესისა და ზოგიერთი შენობის ცოტა ადგილით გადაცემა განიზრახა გარშემო ამ ეკვლესის მცხოვრებლებისაღმი. მას სურდა, რომ აქ გახსნილიყო სამრევლო შტატი ერთი კრებულისა. სახლსა, რა საკვირველია როგორც „უსარგებლოს“ კრებულს მის-ცემდენ! წავიდა თუ არა ამაზე ქალალდი სინოდალნი კანტორაში წავედი ტფილისში და ექსარხოსს პალადის ვთხოვე უარი ეთქვა ეპისკოპოზისათვის ამ ეკვლესის გაშტატებაზე. ამასთან მოვახსენე, რომ ეს მამული ეკუთვნება სამღვდელოებას და არა სასულიერო მთავრობასმეთქი. მადლობა ღმერთს, ჩვენი სურვილი აღსრულდა. მაგრამ რა იცის ამისთანა საქმეების მ. ერ. კანდელაკმა? იმისი საქმეა მარტო თბილი ადგილების შოვნა ასტატური მოხერხებით რევიზორების, მზრუნველის და სეკრეტრების ყურადღების დამსახურებით! სრული

ნება აქვს თუ გინდ ლაქიად დაუგეს მათ, მაგრამ ნამდვილი ფაქტის დაფარვა და სიმართლის დაბნელების უფლება არა აქვს ერ. კანდელაკს.

ერთი შენიშვნაც, უთავბოლოდ, უსაფუძვლოდ და უმართლოდ ლაქლაქის შემდეგ ერ. კანდელაკი ხარბობით და შერიანობით გამსჭვალული მაცადინობს, რომ შეუცვალოს ჩვენ შეგნებულ სამღვდელოებას და საზოგადოებას ჩვენზე აზრი და ამისათვის არ ზოგადს არც ერთ სამარცხვინო იარაღს ჩვენ წინააღმდეგ. სიცოცხლის მოქლებს ოცდა-ორი წლის ჩვენს მომღალავ და უანგარო შრომას ანგარებით ნათლავს და ჩვენს ნაწერს სხვის დაწერილად აცხადებს. არ გჯერათ ეს მკითხველო? მოისმინეთ:

„რა დიდი ღვაწლი მიუძღვის მას მეცნიერების წინაშე და რა შეუტანია გონებითი სალაროშით? თუ „მწყემს“ სცემს, ამით ჯიბეს ისქელებს და თუ დრო გამოშვებით წერილებს უშევბს, ესეც დიდ სიბრძნეს არ შეიცავა, მით უმეტეს, რომ ხშირად სხვა წერილებს ამზადებს და თვითონ კი თავისი ტიტულით სტამბავს“

ჩვენი რედაქციის კარი დიაა ყველასათვის, მობრძანდეს და შეიტყოს ჩვენი რედაქციის შესავალ ფასავალი, ამასთან გაეცნოს ამ რედაქციაში ჩვენს მომღალავ შრომას. თუ იოტის ოდენი სიმართლე არის ერმალოზ კანდელაკის ნათქვამში დაასახელოს ერთი-ორი სდატია მანც „მწყემს“-ში დაბეჭდილი ხვისგან შედგენილი და ჩემგან ხელმოწერილი. მოტყუუბულია მ. ერმალოზ კანდელაკი თუ იმას ფიქრობს, რომ შეგნებული მკითხველი მან მოატყუოს თავის წიგნაკით. ვინც წაკითხავს მის წიგნაკს ის მაღვე მიხვდება მის დონკი-ხოტობას, უსაბუძვლო და უმართლო ბოდიალს და მის უკუღმართ მიმართულებასაც. საიდან მომცემს მე სიმღიდრეს ორგანო „მწყემს“, როცა არც ერთი ორგანო ხელის-მომწერთა ფულებით არ გამდიდრებულა? სხვა ორგანოები ხომ განცხადებების წყალობით არსებობენ და ჩვენ რა განცხადებას ვგეძლავთ? როგორ გავმდიდრდებით ხელის მოსაწერი ფულით, როცა მამა ერმალოზ კანდელაკმა მობოჭა «მწყემსზე» ხელის მოსაწერი ფულები თავის საბლაობინო მღვდლებისაგან ორი-სამი წლის და თავის ჯიბეში ჩაიდგა? მ. ერ. კანდელაკს ამისთანა „საქებ“ საქმეში ყავს ამხანაგები, რომელთა სახელები გამოცხადდება თუ არ გამოგზავნეს ახალი წლის

დამდეგამდე. კანდელაკმა მეტი უკანონობაც ჩაიღინა. გამოგვაწერია რუსეთიდან მშვენიერი შესამოსელი, წაილო ჩვენგან შემწირველთა საჩვენებლათ, აილო ფულები და ბოლოს რუსული „ატკაზ“-ი გამოგვიცხადა, ხან გვწერდა მოგცემო, მაგრამ არ იძლევა. ამისთანა უკუღმართ და მავნე მიმართულების კაცს აქვს უფლება სხვას უკუღმართობა დასწამოს? ეს თქვენ-თვის მომინდვია, მკითხველო...

დეპ. დ. დამბაშიძე.

### შორაპნის საბლალონით სამღვდელოების პრეზიდენტი დაბა შვილილაში 24 ნოემბერს 1905 წ.

შორაპნის საბლალონინო სამღვდელოებას კრება ჰქონდა დ. ყვირილაში 24 ნოემბერს. ამ კრებაზე აირჩიეს ვექილი და მისი კანდიდატი, რომელსაც დაავალეს მიღება მონაწილეობისა სხვა ვექილებთან ერთად, რომელთაც უნდა იმოქმედონ საქართველოში ავტოკეფალიური მართვა-გამგეობის შემოღებისათვის. თუ რამე ვიზეზისა გამო საზოგადოებისა და სამღვდელოების თხავნა არ იქნა შეწყნარებული მთავრობისაგან მაშინ საქართველოს ეკკლესია და სამღვდელოება სპობს ყოველივე დამოკიდებულებას სინოდთან და მის დაწესებულებასა და მისგან დანიშნულ თანამდებობის პირებთან. 14 იანვრიდან 1906 წლისა დაარსებულ უნდა იქმნას ავტოკეფალური მართვა-გამგეობა საქართველოში. ამ კრებაზე ბლალონინმა ლამბაშიძემ განაცხადა: „დროა კონდაკი შესწორდეს ბერძნულ კონდაკებთან და ის რაც შეუფერებელია ამ დროისათვის გამოეკლოს, ამ შეცვლით ლირსება იმანე იქრობისისა და ბასილი დიდისა არ იქნება დამცირებული. უცხოეთში სამღვდელოებას ბევრი უმეცადინია წირვა-ლოცვის მოსაწყობად დროის მოთხოვნილებისამებრ. მაგრამ ჩვენში, საუბედუროთ, არავითარი ცვლილება არ მოუხდენიათ. სამღვდელოების და საზოგადოდ მღვდელმთავრების ჯამაგირების შესახებ დიდი ცვლილება არის მოხდენილი, მაგრამ სხვას არაფერს არ შეხბიან... პირველი და მეორე საუკუნის წესები ყველა შეუძლებელია დღეს შესრულოს კაცმა და რიგი უცხოეთის სამღვდელოებას მივბაძოთ. ქრისტიანობა

უცხოეთში ბევრად უმჯობეს მდგომარეობაშია ვინებ ჩვენში.”

ბევრს ეგონა, რომ ორი-სამი საათობით წირვა-ლოცვის გაგრძელება სემინარიის ეპკლესიებში რე-ლიგიურ გრძნობას განამტკიცებდა სემინარიელებში, მაგრამ სულ წინააღმდეგს ვხედავთ. დროა სამღვდე-ლოებამ მოიფიქროს ყველა ამაზე.

დამსწრე.

სასტიკად იქნება დასჯილი. წინადადებას ვაძლევ სამხედრო დაწესებულებისა, სამმართველოებისა დ სასწავლებლების ყველა უფროსებს მიიღონ უსასტი-კები და აუცილებელი ზომები, რომ ეს ჩვენი ნაბ ძანები დარღვეულ არ იქნეს, როგორც ჯარის კა-ცებისა, ასე სამხედრო სასწავლებელში მოსწავლე-თაგან.

ბძანება ესე წაეკითხოს და განემარტოს ყველა ჯარის კაცებს.

ხელს აწერს სამხედრო ოლქის მთავარსარდალ გენერალ-ადიუთანტი გრაფი

გორგონცოგ-დაშველი.

ბრძანება № 323. 1905 წ. 12 ნოემბერს.

ბძანებითა ჩემითა ჩემდამო უმაღლესად რწმუ-ნებულ სამხედრო ოლქის მიმართ, 309 ნომრით, (5 ნოემბერს 1905 წ.) მე აღვნიშნე, რომ სამხედრო წესის ძირითადი კანონების ძალით ბ-ნა აუცილე-ბმა და დაბალმა ჯარის-კაცებმა პოლიტიკაში მონა-წილმობა არ მიიღონ. ესევე ძირითადი კანონები უკრძალავს ჯარის-კაცთ გაზეთის საშუალებით თავი იმართლონ იმ ბრალდებისაგან, რომელთაც ჯარი-თავზე ახვევენ და რომელიც დამყარებულია პოლი-ტიკურ საუფასებლივ.

ამის და მიუხ-დავად, საზოგადოების ერთ-ნაწილი და ზოგიერთი გაზეთები ჰქიცხავენ და გან-გებ ამახინჯებენ ჯარის მოქმედებას, იმ ჯარის საქციელს, რომელიც მოწოდებულია წესიერების დასამყარებლად და მშვიდობიან მცხოვრებთა დასა-ფარავად.

ბატონო აფიცრებო და ძმანო სალდათებო! თქვენ ფიცი მიიღეთ, რომ რწმენითა და სიმართლით ემსახუროთ მეფესა და სამშობლოს.

თუ თქვენ სინიდისიერად ასრულებთ თქვენს მოვალეობას, ყურადღების ღირსი არ არის რას იტყვიან და ან რას დასწერენ ზოგიერთი უმეცარნი და არა კეთილ-სინიდისიერნი თქვენს შესახებ, ვა-ნაიდან იგინი არც თქვენ გიცნობენ და არც ჩვენი სამსახური იციან. ამიტომ თქვენ არ უნდა გაშფო-თებდეთ, ხალხის აზრი. თქვენ უნდა გაწუხებდეთ მარტო ერთი რამ—შებდალვა თქვენის მოვალეო-ბისა და ფიცისა, გახსოვდეთ, რომ თქვენ პასუხი ავებთ მხოლოდ კანონისა და სინიდისის წინაშე.

თავის მოვალეობათა მტკიცედ აღმასრულებე-ლი ჯარი ყოველთვის ცილის წამებისა და მსჯავრის

## ახლი ამბები და შენიშვნები.

\* \* 31 ოქტომბერი. ოფიციალური. 17 ოქ-ტომბრის მანიფესტის მეორე პუნქტში ნაბრძანებია, ეხლავე მოწვეულ იქნან სახელმწიფო სათათბიროში სამონაწილეოდ მცხოვრებთა ის კლასებიც, რომელ-თაც საარჩევნო უფლებანი სრულებით არა აქვთ. ამჟამად მინისტრთა საბჭოში იხილვენ საარჩევნო უფლების გარემოების საკითხს. საკითხი ახლო მო-მავალში გადაწყდება და დაუყოვნებლივ მოხდება არჩევნები.

\* \* ბრძანება განვხილავთ სამხედრო თავებს № 309 დამცველია რა წესიერევისა და მშვიდობიანობისა, ვისგანცა და რა გზითაც უნდა იყოს ეს წესიერება დარღვეული, მფარველია რა მშვიდობიან მკვდრთა სიცოცხლისა, რა მხრითაც არ უნდა მოელოდეს განსაცდელი ხალხს, — ჯარი პოლიტიკაში არ უნდა ერეოდეს.

ამის გამო ვალიარებ რა, რომ სამხედრო სამ-სახურში მყოფთა მიერ პოლიტიკით გატაცება ძირითადად ეწინააღმდეგება სამხედრო წესისა და დისკიპლინას, საჭიროდ მიმართა რწმუნებულ ჩემდამი სამხედრო ოლქში ახლავე დაუყოვნებლივ და უცი-ლობლად ავუკრძალო აფიცრებს, იუნკრებს და დაბალ ჯარის კაცთ, აგრეთვე სამხედრო სასწავლებ-ლებში მოსწავლეთ მონაწილეობის მიღება პოლი-ტიკურ კრებებსა, მიტინგებსა და მანიფესტაციებში, რა ხასიათისაც უნდა იყოს ეს მანიფესტაციები, აგრეთვე ვუკრძალოვ პოლიტიკურ საზოგადოებებსა და კავშირებში ჩაწერასაც.

ჩველა, ვინც კი გარდავა ამ ჩემ ბრძანებას,

ებაზე შალლა უნდა იდგეს, ეს კილის-წამებანი ნება გამოგონებული, რომ ხალხს ნდობა დაუკუთხონ ჯარისაღმი და თვით ჯარს გული შეაცვლენონ თავის თავის წმინდა საქმეზე.

გახსოვდეთ ყველა ეს ბბ. აფიცრებო და ულალნო ჯარის კაცნო, კავკასიის სახელოვანო აუქტისანო, ნამვტნავად გახსოვდეთ თქვენი მოვა- კობა მეფისა და სამშობლოსაღმი, ხოლო რასაც ქვენზე იტყვიან ან დასწრენ თქვენის ყურადღების ირსი არც კი უნდა იყოს.

პრძანება ეს წაეკითხოს ბ-ნ აფიცრებს აგრეთვე აცეითნოს და განემარტოს მთელის სამხედრო ოლ- ის როტებისა, ბატარეებისა, ესკადრებისა, ახეუ- იებისა და კომანდების დაბალ ჯარის კაცებს.

ხელს აწერს მთავარ-სარდალი გენერალ-ადიუ- ტანტი

### გრაფი გორგონცოვ-დაშვილი.

\* \* \* როგორც ამბობენ, ამ დღეებში ტაშკენტ- ჰეირალებულ ჯარს მიტინგი გაუმართავს, სადაც კლინიკა დაუწყიათ თავიანთ მდგომარეობაზე. ანგ 10,000 ჯარის კაცი დასწრებია. მიტინგზე ცხადებული კორპსის უფროსი და უთქვაში: საჭირო არ არის, შეგიძლიათ უიარადოთ თბილობით. ჯარ-კაცი დათანხმებულან და უფროსს თოვები კაზარმებში წაუღებინებია, რის შემდეგაც უიარადო ჯარის კაცებზე კაზაკები მიუ- ვინა და ამოუწვევტინებია. მოკლულია თურმე 500 ჯარის კაცი. ჯარი ძალიან აღელვებულია. კორპსის უფროსს შეშინებია და მატარებლით ჩვეადან გაპარვა დაუპირებია, მაგრამ ჯარს შეუპყ- რია და ღურუსაღებია.

\* \* \* 21 ნოემბერს განჯის ხოცა-ულეტის შე- სახებ თათბირი ჰქონდათ ტფილისის სომხებისა და თათრების წარმომადგენლებს. კრებამ აირჩია ორი დეპუტატი მაჰმადიანთაგან—ჰუსეინ-ბეკ ედიკაროვი და ჰაჯი-სეიდ ჰასანი და განჯაში გაგზავნა უკვე წასულ სხვა დეპუტატებთან ერთად ხოცა-ულეტის წინააღმდეგ ღონისძიებათა მისაღებად. კრებას მსჯე- ლობა ჰქონდა იგრელვე იმის შესახებ, რომ ტფი- ლისში საჭიროა სიფრდხილე, რომ რომელიმე მკვ- რელობა, პირადი ინტერესებით გამოწვეული, პროკოკატორებმა ხალხს სხვანაირად არ აუხსნან და აქაც სომებითა ხოცა-ულეტა არ მოწ- ყონო. კრებამ, ხანგრძლივ თათბირის შემდეგ, აირ-

ჩია 20 კაცი და დაავალის კერძო მკვლე- ლობის მიზეზები დაწვრილებით გამოიკვლიოს და და ხალხს გადასცეს, რათა პროვოკატორებმა სხვა- ნაირად არ აუხსნან.

\* \* \* ნამესტნივის განცხადება: რადგანაც ამ ბო- ლო დროს ძლიერ გამწვავდა თათართა და სომებთა შორის დამოკიდებულება, ნამესტნიქმა საჭიროდ დაინახა:

1) იმ ზომების შესამუშავებლად, რომლებიც საჭიროა ქვეყნის დასამშვიდებლად, დაარსდეს ნამე- სტნიკის საბჭოს წევრის ტუნელოვსკის თავმჯდომა- რებით კომისია, რომლის წევრებადაც იქნებან: დირექტორი კანცელარიისა სტ. ს. პეტერსონი. ტფილისის გუბერნატორი შტალ. ბარონი რაუშ- ფონ-ტრაუბენბერგი და სხვები, რომელთა მოწვევაც საჭიროდ იქნება ცნობილი. ამავე კომისიაში შედის 8 კაცი, თითოეულ ეროვნებისაგან თრ-ორი პირი: რუს, ქართველ, სომებ და თათართაგან;

2) წინადადებას ვაძლევ ტფილისის ქალაქის საბჭოს, დაუყოვნებლივ მოიწვიოს თავის შეხედუ- ლებისამებრ ეს პირები;

3) ამასთანავე კავკასიის ნამესტნიკი უცხადებს ნდობას მშვიდობიან მცხოვრებთ და მუშათ პარტიას, რომელიც თხოულობდა იარაღის დარიგებას სომებ- თათართა გამწვავებულ მდომარეობის დასამშვიდე- ბლად, და დაურიგა მათ 500 თოფი.

იმის გამო, რომ აღმინისტრაცია მოქმედებს თანხმობით აღგილობრივ მცხოვრებთა წარმომადგენ- ლებთან, იმდინარება, რომ აღგილო ალარ ექვება თვით- ჩემბობას, ლომელისაც შეუძლება ქალაქის მცხოვრებთა შორის გამოიწვიოს განხეთქილება და უწევოება,

\* \* \* სევასტოპოლის ბრძოლა. მუკდენთან დამარ- ცხებულმა ვენ. კაულბასმა შემდეგი დეპეშა გაგზავნა სევასტოპოლიდან ჰეტერბურგში: „სამხედრო აჯან- ება მოვსპერ. ჯარი მამაცად იბრძოდა. დავატყვე- ვთ 2000-მდე აჯანყებული. ებრაელები და რევო- ლუციონერები აღელვებულნი არიან და აუციცრებს მუქარის უფლისი და შეურაცხყოს აყენებენ. ბრძოლის ღრუს თავი ისახელეს შემდეგმა პოლკებმა: ბრესტისა, ბელოსტოკისა, ციხის ქვეითა ბატალიონ- მა, არტილერიის მე-13 ბრიგადამ და დონის კაზაკ- თა მე-7 პოლკმა“.

აღმირალი ჩუხნინი, სხვათა შორის, იწერება: „ბრძოლის ქარიშხალმა გადაიარა; სარევოლიუცი-

კორიგალი ჯერ არ მოსპობილა. რუსეთს ნამოქადაქო  
ომი ელის, ეს ყველას ესმის მაგრამ, წინააღმდეგობის  
ვაწევა არავის უნდა".

\* \* 27 ნოემბერს, დღის 2 საათიდან არტილე-  
რის მოედანზე, კაზაკთა ყაზარმების მახლობლად,  
«პატრიოტებს» კრება ჰქონდათ. კრება გახსნა ერთმა  
„პატრიოტმა“. რომელმაც დამსწრეთ გააცნო ახლან-  
დელ საქმეების ვითარება, ილაპარაკა «შინოურ  
მტრებზე», «მეფისა და მამულის უარისმყოფლებზე»,  
ბოლოს შეეხო თფილისის პოლიციებისტერ ცის და  
სთქვა: დაუყოვნებლივ სამსახურიდან დაითხოვონ.  
კრებამ დაახლოვებით შემდევი რეზელიუცია გამო-  
იტანა: ეთხოვოს ნამესტნიკს, დაუყოვნებლივ ჩამო-  
ერთვას სოციალ-დემოკრატებს ის იარაღი, რომელიც  
მათ დაურიგდათ, საჩქაროდ გაუქმებულ იქნან  
მილიციონერები და ბოლო მოედოს ქალაქში მათს  
თარეშობას; ეთხოვოს კავკასიის ნამესტნიკს, ყველა  
ეს იარაღები გადაეცეო მათ, როგორც მეფისა და  
მამულის ნამდვილ დამცველთ; ეთხოვოს ნამესტნიკს  
ტფილისში სამხედრო წესები იქნას შემოღებული,  
ეთხოვოს აგრეთვე, რომ პოლიცი. ცისი დაუყოვ-  
ნებლივ დათხოვნილ იქნას სამსახურიდან (ამ დაღ-  
გნილების პრბო დიდის იღტაცებით მიექვება.)

\* \* დეკემბერის 5-ს დანიშნულია სამდგრა-  
ლების კრება ქუთაისში საქართვის ქაელების სას-  
წავლებლის და სხვა საქმეთა გამო. იმერეთის სამღ-  
დელოების წინანდელმა კრებამ გარდასწყვიტა ამ  
სასწავლებლების საქმეები და ეხლა რა უნდა გაარ-  
ჩიოს სამღდელოების კრებამ არ არის გამოცხადე-  
ულია. სასწავლებლების ყველა გარდასახადები ამ  
სასწავლებლის შესხახევად მოსპო გარდა ხელ-შეუ-  
ხლებელი თანხის სარგებლის ორი ათასი მანეთისა,  
სანთლის ქარხნის სამი ათასი მანეთისა და სასწავლო  
ფულების შემოსავლისა. დანარჩენი ხარჯი სასწავლებ-  
ლისა მოსწავლეთა უნდა იკისრონ სამღდელოების  
კრების გარდასწვეტილებით.

### ვ ი ნ ა რ ხ ი:

სტატია განცოლება: 1883—1906 წე-  
ლიწადი, საუბარი მყითსველთან მე-23 წლის დადევს, რე. რ.  
— დამბაშიძის. —ქრისტე—კანონ-მდებელი. —ცარიელი  
ხელი. —ორიოდე სიტყვა მამა ერმალოზ კანდელა-

კის უკუღმართობის შესახებ, დეკ. დ. ლამბაშიძის.—შორაბ  
საბლადოსინ სამღდელოების კრება დაბა ყვირგლა  
ნოემბერს 1905 წ. დამსწრული.—ახლი ამბები და შენიშვნე  
—განცხადება.

## განცხადება.

მიმღება ხელის-მოწვერა 1906 წლისთვის თ  
კვირებს გამოცხადათ კართულს

XXIII ვ. „მწერა“ ზე XXI

XXII ვ. რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე XXIII ვ  
კურნალის ფურცელი

12 თვით «მწერა» ვ. 6 თვით «მწერა» 27  
— „რუსული „, ვ. 8. — „რუსული „, 9  
— „ორივა გამოცხადა 5 „, „ორივა გამოცხადა

ბაზეთზე ხელის-მოწვერა შეიძლება  
უგირიდაში რედაქციაში, თბილისში წერა-კი  
გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მ:ღაზ  
ვისაც ნაწილ ნაწილად სურს ხელმოსაწვრი ფუ-  
შემოწანა მან ორივა ეჭრნალისთვის უნდა წის  
ადგინოს 3 მან. პირველი იანვან და 2 მ. პირ-  
ივლისს. მარტო „მწერა“-სთვის: პირველ იანვა-  
1 მ. პირველ აპრილს 1 მ. პირველ ივლისს 1 მ  
სოფლის მასწავლებელი და ღარიბთ განეთვინდეთ  
ბათ მთელის წლით ორვე გამოცხადა სამ მან კონკრეტული

რედაქცია იმყოფება დ. უგირიდაში რე-  
ტორის საკუთარ სახლებში.

ზარებე მცროვერებით ეჭრნალის დაბარება შეუძლ  
ამ აღრესით: Въ Евприли, въ редакцію газеты и  
журнала „МЦКЕНСИ“ и «ПАСТЫРЬ».

რედაქციაში მოიპოვება წირსული წლების რა?  
დენიმე სრული გამოცხადა „მწერა“-სა, რომე-  
ნიც ორ მანეთიდა დაეთმობოთ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოვება აგრეთვე სხვა-და-სხვ  
სასულიერო შინაარის გამოცხებანი, რომელთა კა-  
თალოვი ღრმა-გამოცხებით ეჭრნალშიდაც იბეჭდებ  
და მსურველთაც მეიძღება დაიბარონ რედაქციიდა.

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашид

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ლამბაშიძე,

სტამბა უკუღმართობის „მწერა“-ს რედაქციისა (დეკ. დ. ლამბაშიძისა) ყვირგლა საკუთარ სახლში.